სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080145048644717

 # 558

15 / თებერვალი / 2017 წ.

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 10 თებერვალს (18:52 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ SMP170000525 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს გოდერძისა და ბაკურიანის (დიდველი) სათხილამურო კურორტებზე საწვავის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვას (CPV63100000 - ტვირთის გადაზიდვისა და შენახვის მომსახურებები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 27 დეკემბერს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (CON160000060) გაფორმდა ხელშეკრულება შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმთან“. სატენდერო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ იქნებოდა გათვალისიწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში განხორციელდეს საწვავის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სათხილამურო კურორტებზე არსებული სპეციალიზირებული თოვლსატკეპნი ტექნიკის საწვავით მომარაგება, რომლითაც ხდება სასრიალო გზების მომზადება. შესაბამისად, შესყიდვის შეზღუდულ ვადებში განუხორციელებლობა გამოიწვევს სეზონის ყველაზე აქტიურ ფაზაში სათხილამურო კურორტების ფუნქციონირების შეფერხებას, დამსვენებლების უკმაყოფილებას და შემოსავლების მკვეთრად შემცირებას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, 2016 წლის 27 დეკემბერს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (CON160000060) გაფორმდა ხელშეკრულება შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმთან“. სატენდერო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ იქნებოდა გათვალისიწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში განხორციელდეს საწვავის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სათხილამურო კურორტებზე არსებული სპეციალიზირებული თოვლსატკეპნი ტექნიკის საწვავით მომარაგება, რომლითაც ხდება სასრიალო გზების მომზადება. შესაბამისად, შესყიდვის შეზღუდულ ვადებში განუხორციელებლობა გამოიწვევს სეზონის ყველაზე აქტიურ ფაზაში სათხილამურო კურორტების ფუნქციონირების შეფერხებას, დამსვენებლების უკმაყოფილებას და შემოსავლების მკვეთრად შემცირებას. აღნიშნული გარემოება ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ SMP170000525 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე